



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო
კონსერვატორია



თბილისი 0108, გრიბოედოვის ქ. N 8-10 ტელ/ფაქსი:(+995 32) 2 999 144,
www.tsc.edu.ge ელ-ფოსტა: info@tsc.edu.ge; inter@tsc.edu.ge



KA000020527367921

№ 01-61-A

26 / თებერვალი / 2021 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საინფექციური დაავადებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმის განხორციელებისათვის 2021 წლის 01 მარტიდან პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს კანონის "უმაღლესი განათლების შესახებ" 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების მე-16 მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტით, 2020 წლის 1 ივნისის რექტორის N02-88- R ბრძანებით დამტკიცებული ინფექციური დაავადებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმის, სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში ინფექციური დაავადებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ 2020 წლის 2 ივნისის რექტორის N02-90-R ბრძანების, 2020 წლის 31 აგვისტოს რექტორის N02-138-R ბრძანების, 2020 წლის 16 ოქტომბრის ბრძანება № 01 - 2 6 5-A ,საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის N38 დანართის, კონსერვატორიის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების 2021 წლის 09 თებერვლის 211/22 და საქართველოს მეცნიერების , განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 24 თებერვლის N MES 1 21 0000159323 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1.სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში 2020 წლის 01 ივნისის რექტორის N 02-88-R ბრძანებით დამტკიცებული ინფექციური დაავადებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმის განხორციელებისათვის 2021 წლის 01 განისაზღვრონ შემდეგი პირები:

ა) COVID-19-თანდაკავშირებული რეგულაციებისა და მოთხოვნების შესრულების კოორდინატორად, რეაგირების გეგმის განხორციელების ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს - თეა ტიგინაშვილი.

ბ) COVID-19 თანდაკავშირებული რეგულაციებისა დამოთხოვნების შესრულებისათვის, რეაგირების გეგმის განხორციელებისათვის თეა ტიგინაშვილს დაეჭვმდებაროს მუსიკის სტუდიის მენეჯერი, სამეურნეო სამსახურის თანამშრომლები, მონიტორინგის ჯგუფის თანამშრომლები (პირბადის ტარების წესის კონტროლი), შვეიცარები, მეხანძრე-დარაჯები, დამლაგებლები, მუშები.

გ) თეა ტიგინაშვილს დაევალოს ინფექციური დაავადებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმით განწერილი ინსტრუქციის შესაბამისად შენობაში მოქალაქეთა დაშვებაზე, სანიტარულ-ჰიგიენური და სადემინფექციო სამუშაოების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების დასაქმებულების

ვიზიტორების/სტუდენტების და სხვა პირების მიერ სამუშაო სივრცეში ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სწორ გამოყენებაზე კონტროლი. სადემინფექციო და პირადი ჰიგიენური საშუალებებით შენობისა და თანამშრომლების უზრუნველყოფა, მარაგების შევსება და ნაშთების კონტროლი, დემინფექციის ჟურნალის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირის, დემინფექციის, ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების დაცვის ინსტრუქტაჟის ჩამტარებელი პირების, შესაბამისი და დასტურების ფორმის შევსებაზე კონტროლი, ტექნიკური პერსონალის სანიტარულ-ჰიგიენურ ინორმების დაცვაზე და შესაბამისი აღჭურვილობის გამოყენებაზე მონიტორინგის განხორციელება.

დ) COVID-19-თან დაკავშირებული წესების, ინსტრუქციებისა და საჯარო ინფორმაციის (გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევების და დადგენილი წესით პერსონალურ მონაცემებს მიკუთვნიებული ინფორმაციისა) გაცემაზე (დაქვემდებარებაში მყოფ პირებზე) პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს თუა ტიგინაშვილი.

2. სსიპ თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში პირბადის გამოყენების წესის კონტროლი და მონიტორინგი დაევალოს ანა ნიკურაძეს და მაია შანყულაშვილს (მონიტორინგის თანამშრომლებს დარღვევის/ დაუმორჩილებლობის შემთხვევაში წესის დამრღვევს მოსთხოვოს შენობის დატოვება).

3. მონიტორინგის ჯგუფის წევრს ანა ნიკურაძეს დაევალოს ეთეა ტიგინაშვილს დაევალოს წერილობითი ფორმით, მყისიერად აცნობოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს რეაგირებისათვის სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში COVID-19-თან დაკავშირებული პროცედურების, წესების შეუსრულებლობას ან/ და არაჯეროვან შესრულებაზე აღმოჩენილი დარღვევები.

4. სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში დასაქმებულ პირებზე COVID-19-თან დაკავშირებული წესების, ინსტრუქციებისა და საჯარო ინფორმაციის (გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევების და დადგენილი წესით პერსონალურ მონაცემებს მიკუთვნიებული ინფორმაციისა) გაცემაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს ნინი ქუთელია.

5. სადებინფექციო სამუშაოების განხორციელება მუსიკის ტექნოლოგიის სტუდიებში (აუდიტორია N224ა; N312) დაევალოს მუსიკის ტექნოლოგიის მენეჯერს მანანა ჟღენტს.

6. აღჭურვილობის, სპეცტანსაცმლის და სადებინფექციო საშუალებების გაცემის უზრუნველყოფა ინსტრუქციის შესაბამისად, შესაბამისი ჟურნალის წარმოება, ნაშთების კონტროლი დაევალოს ეთერ ბერეკიძეს.

7. ინფექციური დაავადებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმით განვირეილი ინსტრუქციისა და წინასწარ შედგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით შენობაში მოქალაქეთა დაშვება, თერმოსკრინინგის განხორციელება შენობაში შემოსვლისას მოქალაქეთა მხრიდან COVID-19 თანდაკავშირებული მოთხოვნების შესრულების მონიტორინგი (დემობარირების გამოყენება, პირბადით დაშვება, თერმოსკრინინგი), ინციდენტის აღმოჩენის, სიცხის დაფიქსირების შემთხვევაში რეაგირება - შეკავების ოთახში განთავსება და 112 შეტყობინების გაგზავნა საჭიროების დროს და ინფექციური შემთხვევების აღმოჩენის ჟურნალის წარმოების მონიტორინგი ცისმარი ნიკლაურს და ლალი თარალაშვილს.

8. თერმოსკრინინგის, ინფექციური შემთხვევების ჟურნალის წარმოება, სავალდებულო შესავსები კითხვარის შევსება დაევალოს ცისმარი ნიკლაურს და ლალი თარალაშვილს მათვის განკუთვნილ მორიგეობის დროს.

9. სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში 2020 წლის 01 ივნისის რექტორის N02-88- R ბრძანებით დამტკიცებული ინფექციური დაავადებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმის განხორციელებისათვის შედგენილი დოკუმენტაცია გადაეცეს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს კონსერვატორიის არქივში ჩასაბარებლად.

10. შენობის სადებინფექციო სამუშაოების განხორციელება, შენობის დასუფთავება, შენობაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფა, დაევალოს სახელმწიფო კონსერვატორიის სამეურნეო სამსახურის თანამშრომლებს: ნანული ყიფშიძეს, ლიზა კუპატაძეს, თინათინ ხათაშვილს, ნანა ბზიკაძეს, ინგა უჯარაშვილს, სესილი გამდლიშვილს, მანანა ხარაბიშვილს, ნუნუ მესხაშვილს, ნონა გამებარდაშვილი, იამზე კულდუხაშვილი, მარიამ კირვალიძეს, ეკატერინე მღებრიშვილს, მაყვალა კირთაძეს, ნონა ხუციშვილს.

11. სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე და დიდი საკონცერტო დარბაზების ვენტილაციის სისტემის გამართულად ფუნქციონირების მონიტორინგი დაევალოს შენობის ადმინისტრატორს გიორგი ჩეკურიშვილს.

12. ქვეყანაში არსებული ეპიდ. სიტუაციისა და მასთან დაკავშირებული სხვა რისკ ფაქტორებიდან გამომდინარე, კონსერვატორიის შენობაში სასადილო/ბუფეტი არ გაიხსნას.

13. წინამდებარე ბრძანების შეუსრულებლობას ან/და არაჯეროვან შესრულებაზე პირს დაეკისრება პასუხისმგებლობა კონსერვატორიის შინაგანაწესისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.


14. ბრძანების კონსერვატორიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს კონსერვატორიის ვებ-გვერდის ადმინისტრატორს.

15. კანცელარიას დაევალოს აღნიშნული ბრძანების თვალსაჩინო ადგილას განთავსება და მისი დაგზავნა ყველა სტრუქტურული ერთეულისათვის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის მართვის სისტემით და ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

16. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

17. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დ. აღმაშენებლისხეივანიმე-12 კმ. N6).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელექტრონულად 

ნიკოლოზ ხორბალაძე